საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - გ. ი.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.03.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 022/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ბ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და თანხის დაბრუნების დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 9 მარტს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა გ. ი.-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ბ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება და მისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ, თავდაპირველად, მის საქმესთან დაკავშირებით, იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა ადვოკატ მ. ქ.-სთან, რომლის საფუძველზეც ადვოკატს უნდა გაეწია სამართლებრივი დახმარება გ. ი.-სათვის არქივში არსებული, მისი გარდაცვილი პაპის ძმის, ს. ი.-ს მიწის ნაკვეთის თავის სახელზე გადმოფორმებასთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ადვოკატი მ. ქ. დააპატიმრეს კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების გამო, რის შემდეგაც გ. ი.-ს საქმის მასალები გადაეცა ადვოკატ ა. ბ.-ს. ამასთანავე, ადვოკატს სამართლებრივი დახმარება უნდა გაეწია ავტომანქანის ხელოსანთან დაკავშირებულ დავაში.

1.3 საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ადვოკატმა შეხვედრის დროს განუმარტა მას, რომ მოეგროვებინა სამკვიდროს გახსნისათვის საჭირო დოკუმენტაცია. ასევე, მოსთხოვა 250 (ორას ორმოცდაათი)

ლარის გადახდა, საიდანაც 100 (ასი) ლარი განკუთვნილი იყო გ. ი.-ს ბიძის სამკვიდრო ქონების მიღებასთან დაკავშირებით სასამართლოში წარდგენილი სარჩელისათვის განსაზღვრული სახელმწიფო ბაჟისათვის, 50 (ორმოცდაათი) ლარი ავტომანქანის ხელოსანთან დავის დაწყებას სახელმწიფო ბაჟს წარმოადგენდა, ხოლო დარჩენილი 100 (ასი) ლარი შეადგენდა საადვოკატო მომსახურეობის საფასურს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით მან გამოითხოვა საჭირო დოკუმენტაცია იუსტიციის სახლიდან და მოთხოვნილ თანხასთან ერთად გადასცა ადვოკატ ა. ბ.-ს. ამის შემდეგ, ადვოკატსა და კლიენტს შორის არსებობდა კომუნიკაციის პრობლემა - დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ადვოკატი არ პასუხობდა მომჩივანის სატელეფონო ზარებს. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც კონტაქტი მხარეებს შორის კვლავ შედგა, ადვოკატმა მას განუმარტა, რომ სარჩელი არასწორად იქნა შეტანილი სასამართლოში, რადგან პროცედურულად საჭირო იყო პირველ რიგში ნოტარიუსისათვის მიმართვა და ნოტარიუსის უარი მათი მოთხოვნის შესრულებაზე, რის შემდეგაც ისინი იქნებოდნენ უფლებამოსილნი მიემართა სასამართლოსათვის და მოეთხოვათ სამკვიდროს გახსნა.

1.5 ნოტარიუსთან ვიზიტს, როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. გ. ი. უშედეგოდ ითხოვს ადვოკატისაგან მისთვის გადაცემული საბუთების დაბრუნებას. ა. ბ. აცხადებდა, რომ ნაწილი დოკუმენტაციისა ჰქონდა მ. ქ.-ს და მასთან მოიკითხავდა, თუმცა, მ. ქ. უკვე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებოდა, როდესაც გ. ი.-მ ეს საბუთები მოიპოვა.

1.6 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატ ა. ბ.-სათვის გადაცემული საბუთების: გ. ი.-ს პაპის ძმის - ს. ი.-ს დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებისა და გადახდილი თანხის - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის უკან დაბრუნებას.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას არ აქვს პრეტენზია კვალიფიციურობასთან დაკავშირებით, მხოლოდ სურს თანხისა და დოკუმენტაციის დაბრუნება.

1.8 2018 წლის 17 დეკემბერს, საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიას მომართა განცხადებით, სადაც მიუთითა, რომ 2018 წლის 17 დეკემბერს ადვოკატმა ა. ბ.-მ ჩაურიცხა 250 ლარი, რაც მას ადვოკატისთვის ჰქონდა შეთანხმებით გადახდილი. საჩივრის ავტორის განმარტებით მისი ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობდა თანხის დაბრუნებაში, რაც ადვოკატმა სრულად შეასრულა, შესაბამისად მას ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ პრეტენზია აღარ გააჩნია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გ. ი.-მ განხილვის კოლეგიას მიმართა მისი საჩივრის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1. ადვოკატმა ა. ბ.-მ 2017 წლის 21 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიც განმარტავს, რომ მისი კოლეგა და ოჯახის მეგობარი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მ. ქ., 2016 წლის 22 აგვისტოს დაპატიმრებული იქნა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისათვის. მისი დაკავების შემდეგ, ადვოკატმა მ. ქ.-მ სთხოვა ა. ბ.-ს დახმარებოდა თავისი მიმდინარე საქმეების დასრულებასა და კლიენტებისათვის იურიდიული მომსახურების განხორციელებაში.

2.2. მ. ქ.-ს კლიენტებიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა გ. ი., რომელსაც გადასაწყვეტი ჰქონდა დავა ე.წ. „ხელოსნებთან“ თავისი ავტომანქანის არადროული და უხარისხო რემონტის შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. 2016 წლის 14 ოქტომბერს ადვოკატმა შეადგინა სარჩელი, რომელსაც კლიენტმა მოაწერა ხელი.

2.3. ადვოკატი განმარტებით, კლიენტს მისთვის არ წარმოუდგენია ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, სავარაუდო მოპასუხის კოორდინატები და პირადი მონაცემები, რომელთა წარმოდგენის თაობაზე ერთი კვირით ადრე აცნობა კლიენტს. ვინაიდან, მოპასუხის რეკვიზიტების გარეშე სასამართლო სარჩელს არ მიიღებდა, ადვოკატს სარჩელი სასამართლოში არ წარუდგენია.

2.4. ადვოკატი აღნიშნავს, რომ 2016 წლის 30 ნოემბრის განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა პოლიციიდან სავარაუდო მოპასუხეების კოორდინატებისა და რეკვიზიტების გამოთხოვა. აღნიშნულ განცხადებას თან ჰქონდა დართული პოლიციიდან მიღებული წერილი მოპასუხეების კოორდინატების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმის თაობაზე.

2.5. ადვოკატის განმარტებით, გ. ი.-მ 2016 წლის 26 ოქტომბერს მიიღო წერილი (N 2748XXX) ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-6 განყოფილებიდან, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ მისი, 2016 წლის 7 ივნისის N157XXXX განცხადების პასუხად არ იქნა დაწყებული გამოძიება საქმეში დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო და მიანიშნებდნენ, რომ აღნიშნული საკითხის თაობაზე მას შეეძლო მიემართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის. აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით, 2016 წლის 22 ნოემბერს, ადვოკატმა მიმართა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის პროკურორს, ლ. გ-ს და მოითხოვა სათანადო რეაგირება, ხოლო პასუხი, ადვოკატის ვარაუდით, თავად გ. ი.-ს უნდა ჰქონდეს მიღებული.

2.6. ადვოკატის განმარტებით, გ. ი.-მ სთხოვა მას დახმარება თავისი აწ გარდაცვლილი პაპის ძმის, 1967 წელს გარდაცვლილი ს. ი.-ს დანაშთი ქონებიდან სამკვიდროს მიღებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, ა. ბ.-მ შეადგინა განცხადება, თუმცა, გ. ი.-ს დოკუმენტაცია სრულად არ ჰქონდა. საბოლოოდ, შეთანხმებით, ადვოკატი და გ. ი. მივიდნენ ნოტარიუს ლ. კ.-სთან (ქ. თბილისი, ალ. ყ.-ს ქ. N1), რომელმაც მომჩივანისაგან დეტალური ინფორმაციის მიღების შემდგომ აღმოაჩინა, რომ გ. ი.-ს სამართლებრივი უფლებაც კი არ გააჩნდა თავისი პაპის ძმის დანაშთ ქონებაზე, ვინაიდან ამ უკანასკნელს ჰყავს პირველი რიგის მემკვიდრე. ადვოკატი განმარტავს, რომ გ. ი.-ს საუბარი ნოტარიუსთან „არ შეესაბამებოდა არც ფაქტობრივ გარემოებებს და არც ნორმალურად მოაზროვნე ადამიანის ინტელექტს“.

2.7. ადვოკატი აცხადებს, რომ თავისი საადვოკატო საქმიანობის მანძილზე არ შეხვედრია „კლიენტი ასეთი უტიფარი, დაუნახავი და უმადური“. ადვოკატი აცხადებს, რომ „გ. ი. არის ერთი ჩვეულებრივი ინტრიგანი, პროვოკატორი და მე მას ვაგებინებ სათანადოდ პასუხს“. მან მომჩივანთან ორთვიანი ურთიერთობის შედეგად მიიღო მხოლოდ 100 (ასი) ლარი ჰონორარის თანხა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მომჩივანმა საჩივარი შეიტანა დიდუბის პოლიციის სამმართველოში და მოითხოვა ბაჟის თანხის 100 ლარის უკან დაბრუნება. აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გ. ი.-ს უარი ეთქვა ადვოკატის მიმართ გამოძიების დაწყებაზე.

2.8. ადვოკატი უარყოფს „ინტრიგანი გ. ი.-ს“ საჩივარში მითითებულ გარემოებას ადვოკატის მიერ კლიენტისათვის თანხის მოტყუებით გამოძალვასთან დაკავშირებით და აცხადებს, რომ კლიენტის სათანადო სამართლებრივი დახმარების სანაცვლოდ იღებდა მიზერულ თანხას, ვინაიდან გ. ი.-ს გარკვეული თანხა გადახდილი ჰქონდა დაპატიმრებული ადვოკატისათვის. მისი განცხადებით, გ. ი.-სთან ორთვიანი სამართლებრივი ურთიერთობისათვის, რომელიც მიმდინარეობდა გ. ი.-ს მიერ გაცემული რწმუნებულების შესაბამისად, ჰონორარის სახით მიიღო 100 (ასი) ლარი.

2.9. ადვოკატი განმარტებით, მან საჩივრის ავტორს დაუბრუნა მის მიერ იუსტიციის სახლიდან გამოთხოვილი და მოტანილი დოკუმენტაცია.

2.10. 2018 წლის 17 დეკემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ა. ბ.-მ დაადასტურა გ. ი.-სთვის თანხის - 250 ლარის გადაცემა და დაეთანხმა საჩივრის ავტორის 2018 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილ განცხადებას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2018 წლის 17 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეულია ეთიკური ვალდებულებები, რომლებიც გამოიხატა კლიენტის მიმართ უპატივცემულობაში, კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულების დარღვევაში და კლიენტისთვის დოკუმენტაციის დაუბაუნებლობაში.

3.3. საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შემთხვევაში, ადვოკატის მიერ შესაძლოა, სავარაუდოდ დარღვეული იყოს ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 და მე-15 ნაწილები და მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ადვოკატმა ა. ბ.-მ საჩივრის ავტორს დაუბრუნა მისგან მიღებული ჰონორარი და სახელმწიფო ბაჟის შეტანისათვის გადაცემული თანხა სრულად - 250 (ორასორმაცდაათი) ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. *საჩივრის ავტორის 2018 წლის 17 დეკემბრის წერილობით განცხადება;*
2. *ადვოკატის 2018 წლის 17 დეკემბერს განხილვის კოლეგიისთვის მიცემული ახსნა-განმარტება.*

4.2. 2018 წლის 17 დეკემბერს საჩივრის ავტორმა გ. ი.-მ წარმოადგინა წერილობითი განცხადება, რომლითაც უარს ამბობს ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ ეთიკის კომისიაში შემოტანილ საჩივარზე და მოითხოვა დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტა.

განხილვის კოლეგია ეყრდობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *საჩივრის ავტორის 2018 წლის 17 დეკემბრის წერილობით განცხადება.*

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის 2018 წლის 17 დეკემბერს წარმოდგენილი განცხადების მიხედვით ის უარს ამობობს ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ შემოტანილ საჩივარზე და ითხოვს ადვოკატის მიმართ დისციპლიური საქმის წარმოების შეწყვეტას.

6.2. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე“.

6.3. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 33-35 მუხლებით, 37-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. № 022/17 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ა. ბ.-ს მიმართ/სიითი N/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/